




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 13

2016 წლის 16 თებერვალი



ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №145 განკარგულებაში
„ხაშურის მუნიციპალიტეტში ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების
ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“
ცვლილების შეტანის თაობაზე


არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს - ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრს (ს/კ 243918123) სხვადასხვა ღონისძიებების მაღალ მხატვრულ დონეზე ჩატარების მიზნით ესაჭიროება ღონისძიებების მხატვარ-გამფორმებლის სამტატო ერთეულის დამატება, რის გამოც საჭირო გახდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №145 განკარგულებაში ცვლილების შეტანა.

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის 2016 წლის 2 თებერვლის №827/09 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №145 განკარგულებით დამტკიცებულ „ხაშურის მუნიციპალიტეტში ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში“, პროგრამის ბიუჯეტს დაემატოს 2000 ლარი, საერთო ბიუჯეტი ნაცვალად 66 500 ლარისა განისაზღვროს 68 500 ლარით, შესაბამისად დანართი №1 შეიცვალოს ახალი დანართი №1-ით (დანართი №1 თან ერთვის 2 ფურცლად).
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე

ვაჟა შუბითიძე



ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის ძირითადი მიმართულებები:

შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვებისა და მოზარდების გამოვლენა და მათი მოზიდვა საგანმანათლებლო-სახელოვნებო სივრცეში.

- ❖ მოსწავლე ახალგაზრდობის დაინტერესება ხელოვნების დარგებით.
- ❖ სასწავლო პროცესების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი წრეების ფუნქციონირების უზრუნველყოფა.
- ❖ მოსწავლეთა ნიჭის თვითრეალიზებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა.
- ❖ შემოქმედი ბავშვების მიერ ხალხური ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა-პოპულარიზაცია.
- ❖ ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების პოპულარიზაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შემოქმედი ბავშვებისათვის.
- ❖ შემოქმედი ბავშვებისათვის გართობისა და დასვენების სათანადო ბაზის შექმნა.
- ❖ შემოქმედი ბავშვებისათვის და ასევე მათი მონაწილეობით მასობრივი ღონისძიებების გამართვაში ხელშეწყობა.
- ❖ შემოქმედი ბავშვებისათვის სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში ხელშეწყობა.
- ❖ გაცვლითი კულტურული პროგრამების ორგანიზების ხელშეწყობა. შემოქმედ ბავშვთა მონაწილეობით დელფიადებისა და ოლიმპიადების მოწყობის ორგანიზების ხელშეწყობა.

პროგრამის ბიუჯეტი

განისაზღვროს ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ასიგნებები 68 500 ლარის ოდენობით:

სულ სუბსიდიის ოდენობა	68 500
მათ შორის შრომის ანაზღაურება	59 660

პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

მოზარდთა და ბავშვთა სულიერი და გონებრივი განვითარება.

სკოლისგარეშე საქმიანობის დაუფლება და იმავდროულად საგანმანათლებლო სასწავლო პროცესების ხელშეწყობა.

შემოქმედებითი განვითარებისათვის საჭირო მომსახურების მიღების ხელმისაწვდომობა.

შეფასების ინდიკატორი:

საგანმანათლებლო სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლე-ახალგაზრდების რაოდენობა;

შემოქმედი ბავშვების მიერ ორგანიზებული პროექტების რაოდენობა.